საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე
მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი
ხათუნა ფურელიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ე. ლ. ლ. რ.-ს, წარმომადგენელი ა. ბ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 11.02.2019
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 018/19
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. ჟ.-ს /სიითი №/ მიმართ
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. ჟ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 11 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. ლ. ლ. რ.-ს წარმომადგენელმა ა. ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ი. ჟ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2019 წლის 3 აპრილს, 2020 წლის 10 აგვისტოს და ამავე წლის 22 ოქტომბერს ა. ბ.-მ მონაწილეობა მიიღო ეთიკის კომისიის საპროცესო და განხილვის კოლეგიის სხდომებში.

1.2 საჩივრის მიხედვით 2014 წელს ადვოკატი ი. ჟ. იცავდა ე. ლ. ლ. რ.-ს ინტერესებს და წარმოადგენდა მას თბილისის საქალაქო სასამართლოში ადვოკატ ტ. მ.-ს მიერ აღძრულ სარჩელზე. როგორც საჩივარშია მითითებული, ადვოკატი ი. ჟ. კლიენტს არ აწვდიდა

ამომწურავ ინფორმაციას საქმის მიმდინარეობაზე მისთვის გასაგებ ენაზე და არც მის მიერ შედგენილ დოკუმენტებს უგზავნიდა.

1.3 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის, ა. ბ.-ს განმარტებით, მისი მარწმუნებელი არ ფლობს ქართულ ენას, რითაც ბოროტად ისარგებლა ადვოკატმა ი. ჟ.-მ და 2014 წლის 03 ივნისს საჩივრის ავტორთან შეუთანხმებლად გააფორმა მორიგების აქტი /x/x xxxxxxxxxx/ ადვოკატ ტ. მ.-სთან. მორიგების აქტის მიხედვით, ტ. მ.-ს საკუთრებაში გადაეცა საჩივრის ავტორის მიწის ნაკვეთის 70% (საკადასტრო კოდით - xx.xx.xx.xxx.xxx), რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ა.-ს ჩიხი №X›-ში.

1.4 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, მოცემული გარიგება არის ამორალური და საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო, რადგან ადვოკატმა ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, კლიენტის ქონების ნაწილი გადასცა მოპასუხეს და იმოქმედა რა ე. ლ. ლ. რ.-სთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, აღნიშნული ქმედებით მატერიალური ზიანი მიაყენა მარწმუნებელს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიამ ადვოკატ ი. ჟ.-სა და მოპასუხე ტ. მ.-ს შორის 2014 წლის 3 ივნისს დადებული მორიგების გამო მიიღო განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. 2014 წლის 4 ივნისს ადვოკატ ი. ჟ.-სა და ტ. მ.-ს შორის დაიდო ხელშეკრულება, 2014 წლის 3 ივნისის მორიგების აქტის შესაბამისად მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით ე. ლ. ლ. რ.-ს ქონების 70 % (საკადასტრო კოდით - xx.xx.xx.xxx.xxx) გადაცემის შესახებ. 2015 წლის 4 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში ტ. მ. დარეგისტრირდა ქონების 70% წილის თანამესაკუთრედ.

1.5 განხილვის სხდომებზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საჩივარს, რადგან მისი შეფასებით, ადვოკატმა არ დაიცვა კლიენტის ინტერესები სათანადოდ. მორიგების აქტის შინაარსი არ იცოდა ე. ლ. ლ. რ.-მ და ინფორმაცია მიიღო ა. ბ.-სგან, რომელმაც მას მშობლიურ ენაზე ნათარგმნი მორიგების აქტი გაუგზავნა. თავიდან ადვოკატი ი. ჟ. ქონების გასხვისების წინააღმდეგი იყო, თუმცა წარმომადგენლის განმარტებით, იგი სავარაუდოდ მოექცა მოწინააღმდეგე მხარის, ადვოკატ ტ. მ.-ს, გავლენის ქვეშ და კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ (მორიგების აქტის პირობებიდან გამომდინარე) იმოქმედა. ა. ბ.-ს შეფასებით, 2014 წლის 03 ივნისს ადვოკატ ი. ჟ.-ს წარმომადგენლობის ფარგლებში დადებული მორიგების აქტი არ გამოხატავდა კლიენტის ნებას, არ ასახავდა მის ინტერესებს და კლიენტი პირობების შესახებ ინფორმირებული არ ყოფილა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2019 წლის 13 მარტს, 19 მაისს ადვოკატმა ი. ჟ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი განმარტებები, 2019 წლის 13 მაისს მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის, ხოლო 2020 წლის 10 აგვისტოს და ამავე წლის 22 ოქტომბერს განხილვის კოლეგიის სხდომებში და მიუთითა შემდეგი ფაქტები:

2.1.1 ადვოკატი წარმოადგენდა ე. ლ. ლ. რ.-ს ინტერესებს სხვადასხვა საქმეზე, მათ შორის ა. ბ.-ს წინააღმდეგ.

2.1.2 2014 წლის 25 თებერვალს გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატი წარმოადგენდა ე. ლ. ლ. რ.-ს ინტერესებს სასამართლოში ტ. მ.-ს სარჩელზე და ყოველთვის მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებით.

2.1.3 მარწმუნებელმა არ იცოდა ქართული ენა და ასევე ცუდად ფლობდა ინგლისურს და ამის გამო ადვოკატს კლიენტთან კომუნიკაცია ჰქონდა მისი ამჟამინდელი წარმომადგენლის ჯ. ბ.-ს ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რომლითაც ხშირად უკავშირდებოდა ე. ლ. ლ. რ.-ს ქალიშვილი - ს. რ.-ს.

2.1.4 კომუნიკაციის ფორმა და თავად ელექტრონული ფოსტის მისამართები 2014 წლის 25 თებერვლის ხელშეკრულებით წინასწარ იყო შეთანხმებული კლიენტთან. ე. ლ. ლ. რ. სრულად იყო ინფორმირებული საქმის მიმდინარეობის შესახებ, ვინაიდან ადვოკატი რეგულარულად აწვდიდა ინფორმაციას როგორც თავად კლიენტს, ასევე მის წარმომადგენელს - ჯ. ბ.-ს და კლიენტის ქალიშვილს - ს. რ.-ს. ყოველი ქმედება წინასწარ თანხმდებოდა მათთან და შესაბამისად 2014 წლის 03 ივნისის მორიგების აქტის პირობებიც წინასწარ იყო შეთანხმებული მის კლიენტთან - ე. ლ. ლ. რ.-სთან, რასაც წინ უძღოდა ხანგრძლივი სამუშაო პროცესი.

2.1.5 ადვოკატის მიერ მორიგების აქტზე ხელმოწერა განხორციელდა ე. ლ. ლ. რ.-ს და მისი წარმომადგენლების გადაწყვეტილებით, რაც დასტურდება:

1. ე. ლ. ლ. რ.-ს ელ. ფოსტის საშუალებით მიწერილი წერილით; ე. ლ. ლ. რ.-ს ელ. ფოსტით ადვოკატის მიერ მორიგების აქტის შესაბამისი პირობებით გაფორმებაზე თანხმობა დადასტურებული იყო ს. რ.-ს ხელმოწერით. ელ. ფოსტის მისამართების მოსარჩელისადმი და მისი წარმომადგენლის ჯ. ბ.-სადმი კუთვნილება დასტურდება სპს საადვოკატო ბიურო ,,კ., ჟ.“-ს და ე. ლ. ლ. რ.-ს შორის 2014 წლის 25 თებერვალს გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების მე-4 პუნქტის პირველი ქვეპუნქტით, რაც ხელმოწერით დაადასტურა კლიენტმა. ე. ლ. ლ. რ.-სთვის ცნობილი იყო რომ მისი ელ. ფოსტის მეშვეობით მისმა შვილმა ს. რ.-მ გასცა თანხმობა ადვოკატის მიერ მორიგების აქტის გაფორმებისთვის. გარდა იმისა, რომ ელ. ფოსტა ე. ლ. ლ. რ.-ს და შეეძლო ნებისმიერ დროს გადაემოწმებინა, მისი თანხმობა დასტურდება შემდეგი გარემოებითაც: 2014 წლის 15 სექტემბერს ე. ლ. ლ. რ.-მ მის წინააღმდეგ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი (თანამოპასუხე). ადვოკატის შესაგებელს ერთვოდა მისი შვილის ს. რ.-ს თანხმობის ასლი, რაც მოსარჩელეს ჩაბარდა. აღნიშნულის მიუხედავად მოსარჩელე არსად უთითებს, რომ მისი შვილი არამართლზომიერად მოიქცა და მასთან შეთანხმების გარეშე გასცა თანხმობა მორიგების გაფორმებაზე.

2. 2014 წლის 19 მაისს ადვოკატმა ე. ლ. ლ. რ.-ს და ჯ. ბ.-ს ელ. ფოსტის მეშვეობით აცნობა რომ ტ. მ.-სთან პროცესი დანიშნული იყო 3 ივნისს. ადვოკატმა მათ იმეილში კიდევ ერთხელ გააცნო მორიგების ის პირობები, რომელიც შემდგომში გაფორმდა. ამასთან დაკავშირებით, ითხოვა სპეციალური მინდობილობის გამოგზავნა. 2014 წლის 21 მაისს ე. ლ. ლ. რ.-ს მიერ ადვოკატ ი. ჟ.-ს სახელზე ბელგიაში სპეციალური, კონკრეტულად ამ

საქმეზე გაცემული მინდობილობით კლიენტმა ადვოკატს უფლება მიანიჭა ხელი მოეწერა საქართველოში მის უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ მორიგების აქტზე. აღნიშნული ადასტურებს, რომ ე. ლ. ლ. რ.-მ ზუსტად იცოდა მორიგების პირობები და მინდობილობის გაცემით დაეთანხმა მათ.

3. თავად უძრავი ქონების ტ. მ.-სთვის გადაცემის ხელშეკრულება ითარგმნა ბელგიურად და ადვოკატმა მორიგების აქტს ხელი მოაწერა ე. ლ. ლ. რ.-ს მიერ მისი გაცნობისა და თანხმობის მიღების შემდეგ.

4. ე. ლ. ლ. რ.-ს მიერ ადვოკატ ი. ჟ.-ს წინააღმდეგ სარჩელით სასამართლოსადმი მიმართვა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მორიგების აქტი ტ. მ.-სთან გაფორმდა ე. ლ. ლ. რ.-სთვის მის მიერ საქმის ვითარების არასწორად ახსნის საფუძველზე, რომ მან მოატყუა ე. ლ. ლ. რ., წინააღმდეგ შემთხვევაში დავა მორიგებით არ დასრულდებოდა. ეს გარემოება ადასტურებს, რომ ე. ლ. ლ. რ.-სთვის ცნობილი იყო თანხმობა. ის არ უარყოფს ამ ფაქტს და უთითებს, რომ აღნიშნული მორიგება განხორციელდა მის მიერ არასწორად მოწოდებული ინფორმაციის - სამართლებრივი შეფასების საფუძველზე. სარჩელი სასამართლოს მიერ განუხილველად დარჩა იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო.

2.2 ადვოკატის განმარტებით, საჩივარი მის მიმართ არ დაწერილა იმის გამო, რომ მან დაარღვია პროფესიული ეთიკა, უბრალოდ კლიენტის ვარაუდით მის საქმეს ამ ეტაპზე ასე სჭირდება. აღნიშნული ჩანს ს. რ.-სთან მიმოწერაში, 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ, როდესაც მათ ადვოკატის წინააღმდეგ სარჩელით მიმართეს სასამართლოს, ს. რ.-მ მიწერა ადვოკატს, რომ მათ სურდათ ცხოვრების დაბრუნება და იმედს გამოთქვამდნენ, რომ ადვოკატი მათ გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდებოდა.

2.3 ადვოკატმა ი. ჟ.-მ განხილვის კოლეგიის მიერ საქმის განხილვისას მიუთითა თუ რატომ არ ეთანხმებოდა საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებას მის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. ადვოკატის განცხადებით:

2.3.1 დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების 5.14 პუნქტში მითითებულია: ,,ადვოკატი ი. ჟ. 2019 წლის 22 მაისის წერილობით განმარტებაში აღნიშნავს, რომ პირდაპირი მტკიცებულება მარწმუნებლის მიერ მისთვის თანხმობის მიცემის შესახებ შესაძლოა არ დადასტურდეს, რადგან ე. ლ. ლ. რ.-ს ელ. ფოსტით მის მიერ მორიგების აქტის შესაბამისი პირობებით გაფორმებაზე თანხმობა დაადასტურა კლიენტის შვილმა - ს. რ.-მ, თუმცა უშვებს ვარაუდს, რომ მეილი შესაძლოა ენახა კლიენტს.“ ადვოკატი უარყოფს მსგავს განმარტებას. 2019 წლის 13 მაისის ეთიკის კომისიის სხდომაზე გამოიკვეთა მოსაზრება საპროცესო კოლეგიის წევრთა მხრიდან, კონკრეტულად ეთიკის კომისიის წევრმა კონსტანტინე გელაშვილმა ადვოკატს შესთავაზა დამატებითი განმარტებისა და მტკიცებულების წარმოდგენა. წევრის განმარტებით, ,,წარმოდგენილი მტკიცებულება, ე. ლ. ლ. რ.-ს მიერ მიღებული წერილობითი თანხმობა შესაძლებელია წარმოადგენდეს მისი შვილის, ს. რ.-ს მიერ არაუფლებამოსილი სარგებლობის შემთხვევას.“ წევრის სიტყვები წაუმძღვარა

პროლოგად ადვოკატმა დამატებით განმარტებას და შემდეგ მოცემულ სადავო ფაქტებზე მიუთითა სხვა გარემოებებზე, მტკიცებულებებზე და ჩამოთვალა რატომ არ ეთანხმებოდა მას. ადვოკატს არ უღიარებია, არ დაუშვია ვარაუდი, რომ ე. ლ. ლ. რ.-ს მორიგების პირობების შესახებ არ ჰქონდა ინფორმაცია მიღებული.

2.3.2 გადაწყვეტილების 5.5 მუხლში მითითებულია ციტირება სხვა გადაწყვეტილებიდან, რომელიც ადვოკატის კლიენტთან შეთანხმებულად მოქმედებას ეხება, რასაც ადვოკატი იზიარებს. გადაწყვეტილების 5.8 პუნქტში გრძელდება ფაქტების აღწერა და აღნიშნულია, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის ფორმატზე შეთანხმება არსებობდა. 5.11 პუნქტში საუბარია კონკრეტულ დეტალებზე: როგორ აწვდიდა ადვოკატი კლიენტს ინფორმაციას, როგორ მოხდა მეორედ მორიგების მიზნებისთვის მინდობილობის გამოგზავნა. მთელი ჯაჭვი იკვრება - კლიენტთან შეთანხმება კომუნიკაციის წესზე სტანდარტის მიხედვით, კლიენტის ინფორმირება და კლიენტისგან საპასუხო მოქმედება მის მიერ მეორე მინდობილობის გაცემით. ადვოკატის შეფასებით, ნაცვლად იმისა, რომ ამას ლოგიკურად უნდა მოჰყოლოდა მისი მხრიდან ეთიკური ქცევის არსებობის დადასტურება, კოლეგიამ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ თითქოსდა ადვოკატი ვერ ასაბუთებდა კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდებას, აღნიშნული მსჯელობა ადვოკატისთვის ნათელი არ არის, ვინაიდან ანალიზი სწორია, მაგრამ კომისიის მსჯელობის დასკვნა ანალიზის საპირისპიროა.

2.3.3 მსჯელობისას კომისია დაეყრდნო დისციპლინურ საქმეზე 021/13 მიღებულ გადაწყვეტილებას, საიდანაც ადვოკატი ციტირებს ,,ადვოკატისათვის მინდობილობით მორიგების უფლებამოსილების მინიჭება არ გულისხმობს მორიგების პირობების ერთპიროვნულად შეფასებისა და შეთანხმების უფლებამოსილებას. რაც შეეხება საკონტაქტო პირის მეშვეობით კლიენტთან არა საქმის მიმდინარეობის შესახებ კომუნიკაციას, არამედ საქმეზე არსებითი გადაწყვეტილებების შესახებ ნების მიღებას, კომისიის პრაქტიკით დადგენილია სტანდარტი, რომ კლიენტის მიერ ოჯახის წევრისათვის საქმეზე ინფორმაციის მიღების მინდობის მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებული არსებითი ინფორმაცია უშუალოდ კლიენტს მიაწოდოს და მასთან შეთანხმებით იმოქმედოს.“ ადვოკატის განმარტებით, გამოყენებული დისციპლინური საქმის ფაქტები განსახილველი საქმის მსგავსია, რადგან იმ შემთხვევაშიც სადავო გახდა ადვოკატის მიერ მორიგების აქტის დადება ოჯახის წევრისთვის ინფორმაციის მიწოდების პირობებში. კომისიამ უარი თქვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე, რადგან დადგინდა, რომ ადვოკატს ინფორმირებული ჰყავდა ოჯახის წევრი, რაც შეთანხმებული აღმოჩნდა კლიენტთან. შესაბამისად, ე. ლ. ლ. რ.-ს საქმესთან შედარებისას, კომისიის მსჯელობით გამოდიოდა, რომ შესაძლოა ე. ლ. ლ. რ.-ს ოჯახის წევრმა იცოდა მორიგების პირობები, იცოდა სხვა წარმომადგენელმაც (ჯ. ბ.-მ), მაგრამ პრაქტიკით დადგენილია,

რომ ასეთი ტიპის გადაწყვეტილებები უნდა შეთანხმდეს უშუალოდ კლიენტთან. ადვოკატის განმარტებით, კლიენტთან შეთანხმებულ ელ. ფოსტაზე ინფორმაციის გაგზავნა მისი ინფორმირებაა, მას შეეძლო ინფორმაციის ნახვა. ამასთან, მას კომუნიკაცია ჰქონდა კლიენტის შვილთან, მის ბელგიელ იურისტთან. შესაბამისად, დისციპლინური საქმის 021/13 მსგავსად, ადვოკატი ი. ჟ.-ც უნდა გამართლებულიყო მიმდინარე დისციპლინურ საქმეში. კომისიამ ფაქტიურად მისი მხარდამჭერი დისციპლინური საქმე გამოიყენა გადაწყვეტილების მიღებისას, მაგრამ განსხვავებული შედეგი დაადგინა, რასაც ადვოკატი არ ეთანხმება.

2.4 ადვოკატი კომისიის წევრის შეკითხვას, რომ ვინაიდან საკონტაქტო მეილები განსაზღვრული იყო წერილობითი ხელშეკრულებით, შეიძლებოდა საკონტაქტო პირებიც განსაზღვრულიყო, პასუხობს, რომ მას ურთიერთობა ჰქონდა კლიენტთან, როგორც შეთანხმებულ ელ. ფოსტაზე, ასევე მისი ნდობით აღჭურვილი პირის, იურისტ ჯ. ბ.-ს მეშვეობით. როგორც წესი, ადვოკატი ელ. ფოსტით სარგებლობისას, წერილებს უგზავნიდა, როგორც კლიენტს, ასევე ჯ. ბ.-ც. კლიენტის ბელგიელი იურისტისთვის ცნობილი იყო მორიგების პირობები. მორიგების პირობები ცნობილი იყო ასევე კლიენტის შვილისთვის, რომელმაც წერილობითაც დაადასტურა კლიენტის ნება. ს. რ.-მ ადვოკატს თანხმობა მისწერა მორიგების აქტის გაფორმებიდან (სასამართლო პროცესის) მეორე დღეს. პროცესზე ადვოკატმა ისარგებლა მორიგების მიზნისათვის სპეციალურად გაცემული მინდობილობით. მორიგების კონკრეტული პირობა მინდობილობაში მოცემული არ ყოფილა. როგორც ადვოკატი განმარტავს, პროცესის დღეს კიდევ განიხილავდნენ პირობებს და თუ მიიღებდნენ უკეთეს შედეგს, მაშინ მოწინააღმდეგე მხარეს მისცემდნენ ნაკლებ ქონებას. ადვოკატის განცხადებით, მას უშუალო კონტაქტი ჰქონდა ჯ. ბ.-სთან პროცესის დღეს შესვენებისას, როდესაც სასამართლომ დრო მისცა მორიგებისთვის. ჯ. ბ.-მ ადვოკატს აცნობა, რომ შეთანხმებული იყო კლიენტთან მორიგების პირობები და შეეძლო მათზე დათანხმება. ადვოკატმა ი. ჟ.-მ დაჟინებით მოითხოვა, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში მითითებული, შეთანხმებული საკონტაქტო ფოსტიდან აუცილებლად მიეწერათ თანხმობა. შესაბამისად, პროცესის მეორე დღეს, ს. რ.-ს პასუხი ჯ. ბ.-სთან კომუნიკაციის შედეგს წარმოადგენდა. ადვოკატი ასევე განმარტავს, რომ მისმა კლიენტმა, ე. ლ. ლ. რ.-მ ინგლისური ძალიან ცუდად იცოდა, უკეთესად ესმოდა, კითხულობდა, ვიდრე საუბრობდა. მას უჭირდა აზრის გადმოცემა და როგორც წესი, საჭიროებისას, ადვოკატს ჯ. ბ.-სთან ჰქონდა სატელეფონო კომუნიკაცია. სწორედ იმიტომ, რომ საჩივრის ავტორს არ შეეძლო სრულად აზრის ინგლისურად გადმოცემა, ჰყავდა წარმომადგენელი ჯ. ბ. ან მისი შვილი. ადვოკატი მათი მეშვეობით აწვდიდა კლიენტის ინფორმაციას ინგლისურად.

2.5 ადვოკატი ზუსტად ვერ იხსენებს წერილობითი ფორმით 19 მაისს გაგზავნილი წერილის გარდა, თუ მისწერა კლიენტს მორიგების პირობების შესახებ, თუმცა მისი შეფასებით, 19

მაისის შემდგომი კომუნიკაცია ადასტურებს, რომ იმ ეტაპზე კლიენტი ფიქრობდა ადვოკატმა მისი ინტერესების მიხედვით იმოქმედა. ადვოკატი ასევე აღნიშნავს, რომ მას არ აქვს წარმოდგენილი საკონტაქტო პირთან სატელეფონო კომუნიკაციის ამსახველი მტკიცებულებები. მორიგებამდე ბევრჯერ განიხილა პირობები, მაგრამ საბოლოო შედეგია 19 მაისის წერილი. სხვა წარმოდგენილი არ აქვს. ადვოკატი ასევე განმარტავს, რომ საბოლოოდ მორიგება იმ პირობებით შედგა, რაც კლიენტს აცნობა 19 მაისის წერილით და მისი მხრიდან პროფესიული ქცევის სტანდარტები დაცულია.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2019 წლის 12 ივლისს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ი. ჟ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ი. ჟ.-მ კლიენტს, ე. ლ. ლ. რ.-ს წინასწარ არ შეუთანხმა პოზიცია პროცესუალურ მოწინააღმდეგესთან, ტ. მ.-სთან 2014 წლის 3 ივნისს მორიგების აქტის გაფორმებაზე, ხოლო 2014 წლის 4 ივნისს აღნიშნული მორიგების აქტის საფუძველზე წერილობითი შეთანხმება დადო კლიენტის თანხმობის გარეშე, რის შედეგადაც ტ. მ.-ს გადაეცა ე. ლ. ლ. რ.-ს უძრავი ქონების 70%, საკადასტრო კოდით xx.xx.xx.xxx.xxx, ადვოკატის მიერ სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, აპეკ-ის მე–3 მუხლი და მე–8 მუხლის მე–6 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

4.1.1 იურიდიული მომსახურების შესახებ 2014 წლის 25 თებერვლის შეთანხმებით, 1 პუნქტის (1) ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატ ი. ჟ.-ს გასაწევი იურიდიული მომსახურება ე. ლ. ლ. რ.-სთვის მოიცავდა პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობას ტ. მ.-ს მიერ წარმოებულ დავაზე. იმის გათვალისწინებით, რომ კლიენტი არ ცხოვრობდა საქართველოში და არ ფლობდა ქართულ ენას, წერილობითი შეთანხმებით იურიდიული მომსახურების შესახებ, მხარეები შეთანხმდნენ კომუნიკაციის ფორმაზე, კერძოდ შეთანხმების 4 პუნქტის (1) ქვეპუნქტის თანახმად, კლიენტი მისთვის გაგზავნილ მასალას მიიღებდა თუ აღნიშნული გაგზავნილი იქნებოდა შემდეგ მისამართზე: w.@gmail.com; j.@hotmail.com; (2) ადვოკატი ინფორმაციასა და კორესპონდენციას მიიღებდა თუ იგი გამოგზავნილი იქნებოდა შემდეგ მისამართზე: i.@k.ge; ტელ/ფაქსი: +995 XX XXXXXXX, XXXXXXX.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *მხარეთა, საჩივრის ავტორის წარმომადგენლის, ა. ბ.-ს და ადვოკატ ი. ჟ.-ს განმარტებები*
2. *იურიდიული მომსახურების შესახებ 2014 წლის 25 თებერვლის შეთანხმება*

4.1.2 ადვოკატმა ი. ჟ.-მ 2014 წელს წარმოადგინა კლიენტი - ე. ლ. ლ. რ.-ს ტ. მ.-ს მიერ წამოწყებულ სამოქალაქო დავაში პირველი ინსტანციის სასამართლოში. ადვოკატმა ი. ჟ.-მ 2014 წლის 19 მაისს შეთანხმებულ ელ. ფოსტებზე - w.@gmail.com; j.@hotmail.com გააგზავნა ინფორმაცია მოპასუხე მხარის, ტ. მ.-ს საქმეზე 3 ივნისს სასამართლო სხდომის ჩანიშვნის შესახებ. ამავე მეილით ადვოკატმა გააგზავნა ინფორმაცია მორიგების აქტის პირობებზე და თანმდევ შედეგებზე, ასევე პროცედურაზე, რაც დასჭირდებოდა ამის გამო მისთვის მინდობილობით უფლებამოსილების მინიჭებას. 2014 წლის 21 მაისს ე. ლ. ლ. რ.-ს მიერ ადვოკატ ი. ჟ.-ს სახელზე გაიცა მეორე მინდობილობა 3 წლის ვადით, რომლის თანახმად მინდობილი პირი უფლებამოსილი იყო მიმდობის სახელით ემართა მიმნდობის უძრავი ქონება მდებარე თბილისში, საკადასტრო კოდით xx.xx.xx.xxx.xxx, აეცილებინა ნებისმიერი მესამე პირის მიერ აღნიშნული ქონების გამოყენების მცდელობა, მინდობილი პირი უფლებამოსილი იყო გადაეცა, გაეყიდა, დაექირავებინა ან სხვანაირად განეკარგა მთელი აღნიშნული ქონება ან მისი ნაწილი, მათ შორის უფლებამოსილი იყო გადაეცა მესამე პირისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით მინდობილი პირი უფლებამოსილი იყო წარმოედგინა მიმნდობის ინტერესები ნოტარიუსის, საჯარო რეესტრის, ნებისმიერი ორგანიზაციის, სააგენტოს და ორგანოს წინაშე, ასევე ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, შეეტანა განცხადებები, მოეწერა ხელი და განეხორციელებინა ამ დავალების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *მხარეთა, საჩივრის ავტორის წარმომადგენლის, ა. ბ.-ს და ადვოკატ ი. ჟ.-ს განმარტებები*
2. *2014 წლის 21 მაისის მინდობილობა*

4.1.3 ადვოკატ ი. ჟ.-ს წარმომადგენლობის ფარგლებში, დავა დასრულდა მხარეთა მორიგებით 2014 წლის 3 ივნისს. ე. ლ. ლ. რ.-სსა და მოპასუხე მხარეს, ადვოკატ ტ. მ.-ს შორის გაფორმდა მორიგების აქტი (2014 წლის 3 ივნისი), რომელსაც ე. ლ. ლ. რ.-ს წარმომადგენელმა ადვოკატმა ი. ჟ.-მ მოაწერა ხელი. მხარეებს შორის 2014 წლის 4 ივნისს ასევე გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ერთის მხრივ, ე. ლ. ლ. რ.-ს, წარმოდგენილი ი. ჟ.-ს მიერ და მეორეს მხრივ, ტ. მ. შეთანხმდენენ 2014 წლის 3 ივნისის მორიგების აქტის შესაბამისად, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, ტ. მ.-ს გადასცემოდა ე. ლ. ლ. რ.-ს უძრავი ქონების 70%, საკადასტრო კოდით xx.xx.xx.xxx.xxx. გადაცემის შემდეგ ქონება დარჩა მხარეთა საერთო საკუთრებაში შემდეგი წილობრივი მონაწილეობით: ე. ლ. ლ. რ.-ს - 30 %, ტ. მ. - 70%. მორიგების აქტით, მოსარჩელემ ასევე აიღო ვალდებულება, ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე დაუყოვნებლივ მიეღო

ყველა ზომა, რომ ტ. მ.-ს აღდგენოდა ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია NX, მათ შორის მიემართა სასამართლოსთვის (სასამართლოში ბაჟს, ხარჯებს იხდიდა ე. ლ. ლ. რ. ან მისი წარმომადგენელი). მოპასუხემ განაცხადა თანხმობა, რომ თუ კი მას მოსარჩელის უშუალო დახმარებით აღუდგებოდა ხე-ტყის დამზადების ლიცენზია NX, მოსარჩელეს საკუთრებაში გადაუფორმებდა ლიცენზიის 15%-ს. მოსარჩელე აღნიშნული პირობების სანაცვლოდ აცხადებდა, რომ მას არანაირი სამართლებრივი პრეტენზია არ ექნებოდა მოპასუხესთან.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *მხარეთა, საჩივრის ავტორის წარმომადგენლის, ა. ბ.-ს და ადვოკატ ი. ჟ.-ს განმარტებები*
2. *მორიგების აქტი (2014 წლის 03 ივნისი)*
3. *თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 03 ივნისის განჩინება მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ*
4. *ხელშეკრულება უძრავი ქონების წილის გადაცემის თაობაზე (2014 წლის 04 ივნისი)*
5. *2014 წლის 04 ივნისის საჯარო რეესტრის ამონაწერი, განცხადება Nxxxxxxxxxxxx*

4.1.4 ადვოკატ ი. ჟ.-ს 2014 წლის 04 ივნისს 4:02 სთ-ზე მეილიდან w.@gmail.com, მიწერა, კლიენტის შვილმა ს. რ.-მ ისე, რომ საკონტაქტო პირის, ხელშეკრულებით შეთანხმებული მეილი j.@hotmail.com არ მიუთითებია. ტექსტში ეწერა, რომ მათ განიხილეს ყველაფერი და შეთანხმდენენ, რომ 70% მისცემდნენ ტ. მ.-ს და მოპასუხე აღარ წავიდოდა სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ელ. ფოსტებზე მიმოწერის ამონაბეჭდი (ელ. ფოსტის თარგმანის დამოწმება 2014 წლის 10 ნოემბერს, სანოტარო აქტის ნომერი XXXXXXX77)

4.1.5 ადვოკატმა ი. ჟ.-მ მორიგების აქტი თარგმნა ჰოლანდიურად კლიენტისთვის მისაწოდებლად. დისციპლინურ საქმეში ადვოკატის მიერ წარმოდგენილ მასალებში არსებული ხელშეკრულება უძრავი ქონების წილის გადაცემის თაობაზე ნათარგმნია 2014 წლის 25 ივნისს.
განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

უძრავი ქონების წილის გადაცემის თაობაზე 2014 წლის 04 ივნისის ხელშეკრულების თარგმანი, დამოწმება 2014 წლის 25 ივნისს, სანოტარო აქტის ნომერი XXXXXXX28

4.1.6 დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მიმოწერის ნაწილი (2014 წლის 30 სექტემბრის, 1 ოქტომბრის, 8 ოქტომბრის) ეთმობა საჩივრის ავტორის წარმომადგენლის, ა. ბ.-ს და ბ. ვ.-ს მიერ ტ. მ.-ს, ი. ჟ.-ს და ტ. მ.-ს მიმართ 2014 წლის 02 ოქტომბერს თბილისის საქალაქო

სასამართლოში შეტანილი სარჩელიდან გამომდინარე საკითხების გარკვევას. ადვოკატი ი. ჟ. აღნიშნულ მიმოწერაში ს. რ.-სთან და ჯ. ბ.-სთან არკვევს მორიგების გამო პრეტენზიის წარმოშობის საფუძველს, რადგან როგორც ადვოკატი უთითებს მიმოწერაში, მან იმოქმედა კლიენტთან საკონტაქტო პირებისგან მიღებული ინფორმაციით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ელ. ფოსტებზე 2014 წლის 30 სექტემბრის, 1, 8 ოქტომბრის მიმოწერის ამონაბეჭდი (ელ. ფოსტის თარგმანის დამოწმება 2019 წლის 20 მაისს, სანოტარო აქტის ნომერი XXXXXXX18)

4.1.7 ე. ლ. ლ. რ.-ს ინგლისურ ენას სრულყოფილად არ ფლობდა და ადვოკატი ურთიერთობდა მასთან წერილობითი ხელშეკრულებით შეთანხმებული ელ. ფოსტების მეშვეობით: ერთი - w.@gmail.com ეკუთვნოდა საჩივრის ავტორს და მეორე - j.@hotmail.com ე. ლ. ლ. რ.-ს ბელგიელ იურისტს. მხარეები ს. რ.-სზე, როგორც კლიენტთან საკონტაქტო პირზე, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებით არ შეთანხმებულან.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *მხარეთა, საჩივრის ავტორის წარმომადგენლის, ა. ბ.-ს და ადვოკატ ი. ჟ.-ს განმარტებები*
2. *ელ. ფოსტებზე მიმოწერების ამონაბეჭდი*

5. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ი. ჟ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა - დარღვეულია ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, აპეკ-ის მე–3 მუხლითა და ამავე კოდექსის მე–8 მუხლის მე–6 ნაწილით განსაზღვრული ეთიკური ვალდებულებები.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 ეთიკის კომისიამ ადვოკატ ი. ჟ.-ს მიერ დარღვეულად მიიჩნია შემდეგი მუხლები:

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 მუხლი: ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

აპეკ-ის მე-3 მუხლი: ,,კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.“

აპეკ-ის 8.6 ნაწილი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

6.2 განხილვის კოლეგიის შესაფასებელია, ადვოკატმა ი. ჟ.-მ კლიენტის, ე. ლ. ლ. რ.-ს (სამოქალაქო დავაში, მოპასუხე) წარმომადგენლობისას რამდენად შეუთანხმა მას ტ. მ.-სთან დადებული (სამოქალაქო დავაში მოსარჩელე) 2014 წლის 3 ივნისს გაფორმებული მორიგების აქტის პირობები, ხოლო 2014 წლის 4 ივნისს აღნიშნული მორიგების აქტის საფუძველზე დადებული წერილობითი შეთანხმება უძრავი ქონების წილის გადაცემის შესახებ, რის შედეგადაც ტ. მ.-ს გადაეცა ე. ლ. ლ. რ.-ს უძრავი ქონების 70%, საკადასტრო კოდით xx.xx.xx.xxx.xxx. 2019 წლის 11 თებერვალს კლიენტმა ე. ლ. ლ. რ.-სმა ეთიკის კომისიაში სადავოდ გახადა ადვოკატის მიერ 2014 წლის 3 ივნისს მორიგების აქტის გაფორმებისა და 2014 წლის 4 ივნისს დადებული ხელშეკრულების მასთან შეთანხმება.

6.3 განხილვის კოლეგია იზიარებს დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე 2019 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლებს, ასევე საპროცესო კოლეგიის მიერ გამოყენებულ ნორმათა განმარტებებს და აღნიშნავს, რომ ,,ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს სწორი ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რათა საქმის მსვლელობის პროცესში ადვოკატის, როგორც იურიდიული მრჩევლის დახმარებით, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები. კლიენტი, როგორც საქმის შედეგით დაინტერესებული პირი, მნიშვნელოვანია ზედმიწევნით ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მოიცავს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მის საქმეზე მიღებული დოკუმენტების მიწოდების ვალდებულებასაც.“ ეთიკის კომისიის 2018 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე N033/17. „ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და კავშირი ჰქონდეს მასთან საქმის წარმოების პროცესში, როდესაც ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით არსებობს ახალი გარემოებები.“ ეთიკის კომისიის 2010 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე N022/10.

6.4 ,,ადვოკატსა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატმა და კლიენტმა თანაბრად უნდა გაინაწილონ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა და თანაბრად უნდა იყვნენ ჩართულნი კლიენტის საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში. ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე ზეგავლენა, უნდა იქნეს მოწონებული კლიენტის მიერ.“ ამავე გადაწყვეტილებაში ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ „ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებული მოქმედებები მესამე პირების მიერ განიხილება, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება.“ ეთიკის კომისიის 2011 წლის 08 მარტის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე N057/10.

6.5 „ადვოკატის მიერ საქმის წარმოებისას კლიენტი უნდა იღებდეს მის საქმესთან დაკავშირებით არსებით გადაწყვეტილებებს, ხოლო ადვოკატი უნდა იყოს მისი მრჩეველი და წარმომადგენელი. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან და მიზნად უნდა ისახავდეს კლიენტის ინტერესების დაცვას. კლიენტის ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ადვოკატის მიერ უნდა განხორციელდეს კლიენტთან შეთანხმებით და არა ადვოკატის მიერ ერთპიროვნულად.“ ეთიკის კომისიის 2011 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე N 022/11.

6.6 ,,ადვოკატი ვალდებულია საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მიაწოდოს უშუალოდ კლიენტს ან ადვოკატი და კლიენტი შეთანხმდნენ კომუნიკაციის ისეთ ფორმაზე, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტისათვის ინფორმაციის სათანადოდ მიწოდებას. ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის შეთანხმებული ფორმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ პრინციპებს. ადვოკატმა კლიენტთან ინფორმაციის მიწოდების ფორმის შეთანხმებისას არ უნდა დაარღვიოს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი და უნდა უზრუნველყოფდეს კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდებას მისი ინტერესებიდან გამომდინარე. ადვოკატმა ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ კლიენტთან შეთანხმებული წესით ინფორმაციის მიწოდებისას არ დაარღვიოს მის საქმესთან დაკავშირებით კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება.” ეთიკის კომისიის 2012 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე N030/12.

6.7 განხილვის კოლეგია ეყრდნობა მსჯელობისას ეთიკის კომისიის 2013 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილებაში გაკეთებულ განმარტებას, რომ ,,ადვოკატისათვის მინდობილობით მორიგების უფლებამოსილების მინიჭება არ გულისხმობს მორიგების პირობების ერთპიროვნულად შეფასებისა და შეთანხმების უფლებამოსილებას. რაც შეეხება საკონტაქტო პირის მეშვეობით კლიენტთან არა საქმის მიმდინარეობის შესახებ კომუნიკაციას, არამედ საქმეზე არსებითი გადაწყვეტილებების შესახებ ნების მიღებას, კომისიის პრაქტიკით დადგენილია სტანდარტი, რომ კლიენტის მიერ ოჯახის წევრისათვის საქმეზე ინფორმაციის მიღების მინდობის მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებული არსებითი ინფორმაცია უშუალოდ კლიენტს მიაწოდოს და მასთან შეთანხმებით იმოქმედოს.“ (დისციპლინური საქმე N021/13, გადაწყვეტილების თარიღი:). კოლეგია ეთანხმება ადვოკატ ი. ჟ.-ს მოსაზრების (იხ. ადვოკატის მოსაზრება გადაწყვეტილების 2.3.3 აბზაცი) იმ ნაწილში, რომ დისციპლინურ საქმეში 021/13 და მიმდინარე საქმეში სადავო საკითხი - მორიგების პირობების კლიენტთან შეთანხმება, ერთგვაროვანია, მაგრამ დისციპლინური საქმე 021/13 განსახილველი საქმისგან არსებითად განსხვავდება ერთი მნიშვნელოვანი გარემოებით, რამაც გამოიწვია საქმეში 021/13 ადვოკატის ქცევის ეთიკურად შეფასება. კერძოდ, დისციპლინური საქმის 021/13 განხილვისას გამოიკითხა თავად კლიენტი, რომელმაც აღიარა, რომ ოჯახის წევრი, როგორც საკონტაქტო პირი შეათანხმა ადვოკატთან. საქმეში 021/13 საკონტაქტო პირმა მორიგების პირობები არ აცნობა კლიენტს და კლიენტის თანხმობის შესახებ ადვოკატი მოატყუა, თუმცა ვინაიდან მოგვიანებით (საპროცესო ეტაპზე

კლიენტი არ გამოკითხულა და არსებითი ფაქტის განხილვის ეტაპზე გაირკვა) დადგინდა, რომ უშუალოდ კლიენტისა და ადვოკატის კომუნიკაციისას შეთანხმდა, რომ სასამართლო წარმოებაში კლიენტის ნაცვლად მისი მეუღლე იქნებოდა ჩართული, როგორც საკონტაქტო პირი, რომელსაც მიაწოდა ადვოკატმა მორიგების პირობების შესახებ ინფორმაცია, კოლეგიამ ადვოკატის ქცევა კლიენტის ინფორმირებულობად შეაფასა. განსახილველ საქმეში სადავოა რა როლი ჰქონდა ს. რ.-ს, რომელსაც ადვოკატი ი. ჟ. ასევე საკონტაქტო და უფლებამოსილ პირად მიიჩნევს. განსახილველ საქმეში, დისციპლინური საქმის 021/13-სგან განსხვავებით, დისციპლინური წარმოების პროცესში საჩივრის ავტორს, ე. ლ. ლ. რ.-ს არ უთქვამს, რომ ს. რ.-ს ადვოკატთან ზეპირად შეთანხმებული უფლებამოსილი პირი იყო ან არსებითი გადაწყვეტილებების მიღება მიანდო იურისტ, ჯ. ბ.-ს. შესაბამისად, კოლეგია ვერ გაიზიარებს ადვოკატ ი. ჟ.-ს პოზიციას, რომ ანალოგიური ფაქტების პირობებში არსებული პრაქტიკა არათანმიმდევრულია, სხვა ადვოკატის იგივე ქცევა ეთიკურად შეფასდა, ხოლო მის შემთხვევაში უსაფუძვლოდ მოხდა დისციპლინური დევნის აღძვრა.

6.8 კომისიის შეფასებით, მორიგების გაფორმებისას კლიენტთან შეთანხმებული მოქმედებისა და ამ ნაწილში პროფესიული ქცევის სტანდარტის დაცვაზე კომისიისთვის დასაბუთებული ვარაუდის შექმნის მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატ ი. ჟ.-ს. ადვოკატი მიიჩნევს, რომ საჩივარი უსაფუძვლოა იმის გათვალისწინებით, რომ კლიენტთან წერილობით შეთანხმდა საკონტაქტო ინფორმაცია, ხოლო ზეპირად შეთანხმდა საკონტაქტო პირები, მორიგების შესახებ კლიენტის პოზიცია მისთვის ცნობილი გახდა კლიენტის ელ. ფოსტით მიღებული წერილით, ამასთან ადვოკატი უთითებს 2014 წლის 21 მაისს კლიენტის მიერ მის სახელზე სპეციალურად მორიგებისთვის გაცემულ მინდობილობაზე და მიიჩნევს, რომ ვინაიდან მას დაცული ჰქონდა კლიენტთან კომუნიკაციის შეთანხმებული ფორმა, უფლებამოსილი იყო გაეფორმებინა მოსარჩელე მხარესთან მორიგების აქტი და თანმდევი შეთანხმებაც. ადვოკატ ი. ჟ.-ს მიერ წარმოდგენილი მასალებით დგინდება და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ იმის გათვალისწინებით, რომ კლიენტი არ ცხოვრობდა საქართველოში და არ ფლობდა ქართულ ენას, 2014 წლის 25 თებერვლის ხელშეკრულებით იურიდიული მომსახურების თაობაზე, მხარეები შეთანხმდნენ კომუნიკაციის ფორმაზე, კერძოდ შეთანხმების 4 პუნქტის (1) ქვეპუნქტის თანახმად, კლიენტი მისთვის გაგზავნილ მასალას მიიღებდა თუ აღნიშნული გაგზავნილი იქნებოდა შემდეგ მისამართებზე: w.@gmail.com; j.@hotmail.com; (2) ადვოკატი ინფორმაციასა და კორესპონდენციას მიიღებდა თუ იგი გამოგზავნილი იქნებოდა შემდეგ მისამართზე: i.@k.ge; ტელ/ფაქსი: +995 XX XXXXXXX, XXXXXXX; ადვოკატის მიერ წარმოდგენილი ელ. ფოსტის მიმოწერის ამონაბეჭდით ასევე დგინდება და მხარეები სადავოდ არ ხდიან, რომ შეთანხმებულ ელ. ფოსტებზე ადვოკატმა ი. ჟ.-მ 2014 წლის 19 მაისს გააგზავნა ინფორმაცია დავაზე 3 ივნისს სასამართლო სხდომის ჩანიშვნის შესახებ. ამავე მეილით ადვოკატი აგზავნის ინფორმაციას მორიგების აქტის სავარაუდო პირობებზე და თანმდევ შედეგებზე, ასევე პროცედურაზე, რაც სჭირდება ამის გამო მისთვის მინდობილობით უფლებამოსილების მინიჭებას; ადვოკატ ი. ჟ.-ს სახელზე მორიგების მიზნებისთვის მეორედ გასცა მინდობილობა 2014 წლის 21 მაისს და გაუგზავნა; 2014 წლის 3 ივნისს ადვოკატი ი. ჟ. ე.

ლ. ლ. რ.-სსა და მოპასუხე მხარეს შორის აფორმებს მორიგების აქტს, როგორც ე. ლ. ლ. რ.-ს წარმომადგენელი; 2014 წლის 4 ივნისს მხარეებს შორის ასევე ფორმდება ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ერთის მხრივ, ე. ლ. ლ. რ.-ს, წარმოდგენილი ი. ჟ.-ს მიერ და მეორეს მხრივ, ტ. მ. შეთანხმდენენ 2014 წლის 3 ივნისის მორიგების აქტის შესაბამისად, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით ტ. მ.-ს გადასცემოდა ე. ლ. ლ. რ.-ს უძრავი ქონების 70%, საკადასტრო კოდით xx.xx.xx.xxx.xxx. გადაცემის შემდეგ ქონება დარჩა მხარეთა საერთო საკუთრებაში შემდეგი წილობრივი მონაწილეობით: ე. ლ. ლ. რ.-ს - 30 %, ტ. მ. - 70%. ხელშეკრულებას ხელი ადვოკატმა ი. ჟ.-მ მოაწერა.

6.9 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი 2014 წლის 21 მაისის მინდობილობით ადვოკატი ი. ჟ. უფლებამოსილი იყო მიმდინარე სამოქალაქო დავა დაესრულებინა მორიგებით, მისი ქცევა ამ ნაწილში კანონიერია, თუმცა პროფესიული ქცევის სტანდარტებიდან გამომდინარე, იგი კლიენტთან, ე. ლ. ლ. რ.-სთან (უფლებამოსილ პირთან) მორიგების პირობების შეთანხმების შემდეგ ხდებოდა უფლებამოსილი, როგორც ე. ლ. ლ. რ.-ს წარმომადგენელს, მინდობილობის საფუძველზე დაედო მორიგების აქტი და შემდგომი შეთანხმებაც. საქმეში უდავო ფაქტია, რომ ადვოკატს უშუალოდ კლიენტთან, ე. ლ. ლ. რ.-სთან, მორიგების პირობებზე, გარდა შეთანხმებულ ელ. ფოსტაზე ინფორმაციის გაგზავნისა, კომუნიკაცია არ ჰქონია. ადვოკატი ი. ჟ. აღნიშნავს, რომ სასამართლო პროცესამდე და პროცესის მიმდინარეობის პერიოდშიც სატელეფონო ურთიერთობა ჰქონდა კლიენტის იურისტთან და ნდობით აღჭურვილ პირთან - ჯ. ბ.-სთან, მაგრამ უთითებს, რომ ამის დამადასტურებელი მტკიცებულება არ აქვს. 2014 წლის 04 ივნისს ადვოკატმა ი. ჟ.-მ ელ. ფოსტიდან w.@gmail.com ს. რ.-სგან მიიღო წერილი (ჯ. ბ.-ს მეილის მითითების გარეშე), რომ ,,მათ განიხილეს ყველაფერი და შეთანხმდენენ, რომ 70 % მისცემდნენ ტ. მ.-ს და მოპასუხე აღარ წავიდოდა სასამართლოში.“ (ელ. ფოსტის თარგმანის დამოწმება 2014 წლის 10 ნოემბერს, სანოტარო აქტის ნომერი XXXXXX77).

6.10 ეთიკის კომისია იზიარებს ადვოკატის პოზიციას, რომ საადვოკატო პრაქტიკაში შესაძლებელია ადვოკატს კლიენტთან ურთიერთობა ჰქონდეს მასთან შეთანხმებული პირის მეშვეობით, მაგრამ ეს საკითხი უშუალოდ კლიენტთან უნდა შეთანხმდეს, განსაკუთრებით, როდესაც საკითხი საქმეზე არსებითი გადაწყვეტილებების მიღებას ეხება. შესაძლებელია ადვოკატთან კომუნიკაციაში იყვნენ ე. ლ. ლ. რ.-ს ადვოკატი, ჯ. ბ., და მისი შვილი ს. რ.-ს, თუმცა ხელშეკრულებით მხოლოდ ჯ. ბ.-ს მეილია დამატებით შეთანხმებული და ივარაუდება, რომ იგი წარმოადგენდა კლიენტთან შეთანხმებულ საკონტაქტო პირს, არა ს. რ.-ს. ადვოკატი კლიენტთან ურთიერთობის დაწყებისას იცავს კლიენტთან კომუნიკაციის წესს იმ ნაწილში, რომ კლიენტს, რომელიც სრულყოფილად არ ფლობს ინგლისურ ენას, უთანხმებს ინფორმაციის მიწოდების მისთვის მისაღებ ფორმას, ასევე მიმოწერა აქვს კლიენტის ბელგიელ იურისტთან, თუმცა მხარეთა შეთანხმება კომუნიკაციაზე დისციპლინური საქმის მასალებით არ მოიცავდა არსებით სამართლებრივ საკითხებზე კლიენტის შვილთან ურთიერთობას და მისგან მიღებული ინფორმაციის, კლიენტის ნების გამოხატვად შეთანხმებას. მორიგების პირობების შესახებ კლიენტთან, მათ შორის ჯ. ბ.-სთან, შეთანხმებულ ელ. ფოსტაზე ინფორმაციის

გაგზავნა პირობებზე უკუკავშირის გარეშე რამდენად შეიძლება საკმარის საფუძვლად ჩაითვალოს, რომ ადვოკატმა იმოქმედოს გაგზავნილი პირობების მიხედვით? კლიენტის იურისტთან, ჯ. ბ.-სთან, იმ ხარისხის კომუნიკაცია, რომ მან გაარკვია კლიენტის ნება მორიგების პირობებზე და აცნობა ადვოკატს, საქმის მასალებით არ დგინდება. დისციპლინური საქმის მასალებით მორიგების პირობების მიმართ არც კლიენტის და არც შეთანხმებული საკონტაქტო პირის პოზიცია ჩანს, მხოლოდ ს. რ.-ს 04 ივნისის ზოგადი წერილი, რომელიც ადვოკატთან მორიგების შემდეგაა გაგზავნილი. ს. რ.-ს წერილიდან არ იკვეთება კონკრეტულად ვისთან შეათანხმა ს. რ.-მ პოზიცია თანხმობაზე. ამასთან, ს. რ.-მ 04 ივნისს ადვოკატ ი. ჟ.-ს მიწერა 4:02 სთ-ზე, ხოლო მანამდე მორიგების აქტი აღსრულდა, ვინაიდან ადვოკატმა ი. ჟ.-მ და ტ. მ.-მ, 15:50:02 სთ-ზე საჯარო რეესტრის სააგენტოში განცხადება დაარეგისტრირეს მორიგების საფუძველზე უძრავი ქონების მოსარჩელის სახელზე გადაფორმებისთვის (2014 წლის 04 ივნისის საჯარო რეესტრის ამონაწერი, განცხადება Nxxxxxxxxxxxx, რეგისტრაციის დრო 15:50:02).

6.11 ადვოკატმა განხილვის სხდომაზე, 2020 წლის 22 ოქტომბერს განმარტა, რომ მთავარი მტკიცებულება, რომლითაც დგინდება მორიგების აქტის პირობების კლიენტისთვის ინფორმირება არის 19 მაისის წერილი, თუმცა იმავე სხდომაზე ადვოკატმა აღნიშნა, რომ 21 მაისის მინდობილობაში მხარეებმა იმის გამო არ მიუთითეს მორიგების კონკრეტული პირობები, რომ პირობებზე მოლაპარაკება გაგრძელდებოდა 3 ივნისს ჩანიშნულ სხდომაზე და შეიძლება უკეთესი პირობებისთვის მიეღწიათ. დისციპლინურ საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, გარდა 2014 წლის 19 მაისის წერილისა და 21 მაისის მინდობილობის გამოგზავნისა, რომელიც დაადასტურებდა ადვოკატ ი. ჟ.-ს მიერ მიერ ე. ლ. ლ. რ.-სთან შეთანხმებით, მისი თანხმობით მოქმედებას მორიგების აქტის გაფორმებამდე. განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ მორიგების აქტის გაფორმებამდე კლიენტთან ხელშეკრულებით შეთანხმებულ ელ. ფოსტაზე გაგზავნილ მორიგების პირობებზე ვინაიდან ადვოკატს არ ჰქონდა კლიენტისგან პასუხი, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე ადვოკატს უნდა ჰქონოდა კლიენტთან კომუნიკაციის მცდელობა პოზიციის უშუალოდ მასთან შეთანხმებისთვის, რაც ვერ დადგინდა. შესაბამისად, წარმოდგენილი ელ. ფოსტებით მიმოწერისა და მხარეთა განმარტებებით არ დგინდება მორიგების აქტის გაფორმებამდე თანხმობის მიღება კლიენტისგან ან უფლებამოსილი პირებისგან.

6.12 შესაბამისად, როდესაც თავად ადვოკატი 19 მაისის წერილში კლიენტისთვის შეთავაზებულ პირობებს მორიგების პროექტად განიხილავს, თუმცა შეთანხმებულ ელ. ფოსტებზე გაგზავნილ ინფორმაციაზე უკუკავშირის გარეშე მოქმედებს აქტის გაფორმებისას; მაშინ, როდესაც ვერ დასტურდება კლიენტის იურისტთან ზეპირი კომუნიკაცია; კლიენტის შვილის (არაუფლებამოსილი პირის) სახელით იღებს ზოგად წერილს მორიგების აქტის დადებისა და ქონების მოპასუხე მხარეზე გადაფორმების შემდეგ, რასაც კლიენტის ნების დადსტურებად მიიჩნევს; კოლეგიის შეფასებით, არსებული გარემოებები არ იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს ადვოკატ ი. ჟ.-ს მიერ ე. ლ. ლ. რ.-სთან შეთანხმებით, მისი თანხმობით მოქმედება 2014 წლის 03 ივნისის მორიგების აქტის გაფორმებამდე. კოლეგია კიდევ ერთხელ აღნიშნავს,

ადვოკატ ი. ჟ.-ს პროფესიული ქცევა - მორიგების აქტის გაფორმება კანონიერია, ვინაიდან იგი მოქმედებდა ე. ლ. ლ. რ.-ს მინდობილობის ფარგლებში, მაგრამ მისი ქცევის ეთიკურობა ვერ დგინდება.

6.13 ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

6.14 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15, 01.04.2015).

6.15 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

6.16 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისია ითვალისწინებს მორიგების აქტის გაფორმებამდე, ადვოკატ ი. ჟ.-ს მიერ კლიენტის ინფორმირებისთვის გადადგმულ ნაბიჯებს, სადავო ქცევის შინაარსს, მის დამოკიდებულებას კლიენტთან მორიგების აქტის გაფორმების შემდეგ, ადვოკატის დისციპლინურ ისტორიას, კერძოდ მას არ ჰქონია დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობა. ამ პირობებში, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული პროფესიული ვალდებულების დარღვევის პროპორციული პასუხისმგებლობის ფორმა.

6.17 სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა წარმოადგენს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას და შეიცავს რჩევებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური დარღვევის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათით, როგორც მიმართვის ფაქტი, ასევე მისი შინაარსი კონფიდენციალურია და იგი ადვოკატს ბარდება პირადად.

კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 33-ე, 35-ე მუხლით და 38-ე მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N018/19 ადვოკატ ი. ჟ.-ს /სიითი N/ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ფურელიანი/